

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №9
2024 წლის 18 აპრილი

ქ. ყვარელი

„ყვარლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე, ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის N32 დადგენილებაში „ყვარლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge, 21/12/2023) სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.164.016496) და აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული დანართის 1-27 მუხლები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ყვარლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ილია მზექალაშვილი

დანართი

თავი I. ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი			2024 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
I. შემოსავლები	24 080,9	25 036.0	18 452.3	6 583.7	30 929.9	19 989.6	10 940.3
გადასახადები	13 882,9	16 405.8	16 405.8		18 624.7	18 624.7	
გრანტები	9 130,3	7 598.7	1 015.0	6 583.7	11 498.2	557.9	10 940.3
სხვა შემოსავლები	1 067,7	1 031.5	1 031.5		807.0	807.0	
II. ხარჯები	14 081,3	16 973.9	16 397.8	576.1	24 552.2	20 003.2	4 549.0
შრომის ანაზღაურება	2 460,2	2 867.4	2 867.4		3 350.0	3 350.0	
საქონელი და მომსახურება	2 064,3	2 263.6	2 162.6	101.0	2 904.0	2 797.7	106.3



პროცენტი	37,8	27.9	27.9		62.5	62.5	
სუბსიდიები	7 775.7	9 852.4	9 852.4		11 895.0	11 895.0	
გრანტები	76,2	76.0	76.0		80.0	80.0	
სოციალური უზრუნველყოფა	837,7	1 081.4	1 081.4		1 129.4	1 129.4	
სხვა ხარჯები	829,4	805.2	330.1	475.1	5 131.3	688.6	4 442.7
III. საოპერაციო სალდო	9 999.6	8 062.1	2 054.5	6 007.6	6 377.7	-13.6	6 391.3
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	5 822,8	10 372.4	2 118.8	8 253.6	11 548.7	3 386.1	8 162.6
ზრდა	6 554,9	11 301.7	3 048.1	8 253.6	12 048.7	3 886.1	8 162.6
კლება	732,1	929.3	929.3		500.0	500.0	
V. მთლიანი სალდო	4 176,8	-2 310.3	-64.3	-2 246.0	-5 171.0	-3 399.7	-1 771.3
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	4 100.5	-2 386.6	-140.6	-2 246.0	-5 251.0	-3 479.7	-1 771.3
ზრდა	4100.5						
ვალუტა და დეპოზიტები	4100.5						
კლება		2 386.6	140.6	2 246.0	5 251.0	3 479.7	1 771.3
ვალუტა და დეპოზიტები		2 386.6	140.6	2 246.0	5 251.0	3 479.7	1 771.3
VII. ვალდებულებების ცვლილება	-76,3	-76,3	-76,3		-80,0	-80,0	
კლება	76,3	76,3	76,3		80,0	80,0	
საშინაო	76,3	76,3	76,3		80,0	80,0	
სესხები	76,3	76,3	76,3		80,0	80,0	
სხვა კრედიტორული დავალიანებები							
VIII. ბალანსი	0.0	0.0	0.0	-	0.0	0.0	

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

	2022	2023 წლის ფაქტი		2024 წლის გეგმა	
		მათ შორის	მათ შორის	მათ შორის	მათ შორის



დასახელება	წლის ფაქტი	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	24 813.0	25 965.3	19 381.6	6 583.7	31 429.9	20 489.6	10 940.3
შემოსავლები	24 080,9	25 036.0	18 452.3	6 583.7	30 929.9	19 989.6	10 940.3
არაფინანსური აქტივების კლება	732,1	929.3	929.3		500.0	500.0	
გადასახდელები	20 712,5	28 351.9	19 522.2	8 829.7	36 680.9	23 969.3	12 711.6
ხარჯები	14 081,3	16 973.9	16 397.8	576.1	24 552.2	20 003.2	4 549.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	6 554,9	11 301.7	3 048.1	8 253.6	12 048.7	3 886.1	8 162.6
ვალდებულებების კლება	76,3	76.3	76.3		80.0	80.0	
ნაშთის ცვლილება	4100.5	-2 386.6	-140.6	-2 246.0	-5 251.0	- 3 479.7	- 1 771.3

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 30 929.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი			2024 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსავლები	24 080,9	25 036.0	18 452.3	6 583.7	30 929.9	19 989.6	10 940.3
გადასახადები	13 882,9	16 405.8	16 405.8		18 624.7	18 624.7	
გრანტები	9 130,3	7 598.7	1 015.0	6 583.7	11 498.2	557.9	10 940.3
სხვა შემოსავლები	1 067,7	1 031.5	1 031.5		807.0	807.0	

მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 18 624.7 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის	2023 წლის ფაქტი		2024 წლის გეგმა	
		მათ შორის		მათ შორის	



	ფაქტი	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
გადასახადები	13 882,9	16 405.8	16 405.8	-	18 624.7	18 624.7	-
საშემოსავლო გადასახადი	-						
დამატებითი ღირებულების გადასახადი	8 354,7	10 214.4	10 198.9		12 824.7	12 824.7	
ქონების გადასახადი	5 528,2	5 150,0	6 206.9	-	5 800.0	5 800.0	-
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	3 690,0	2 890,0	4 339.4		3 540.0	3 540.0	
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	3 690,0	2 890,0	2.2		3 540.0	3 540.0	
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	45,4	30,0	47.2		30,0	30,0	
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1 193,6	1 400,0	1 236.3		1 400,0	1 400,0	
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	599,2	830,0	581.8		830,0	830,0	

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 11 498.2 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
გრანტები	9 130,3	7 598.7	11 498.2
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები			
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	9 130,3	7 598.7	11 498.2
გათანაბრებითი ტრანსფერი			
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	380.0	486.0	319.9
სპეციალური ტრანსფერი		500.0	
კაპიტალური ტრანსფერი			
სპეციალური ტრანსფერი, მათ შორის :	8 750.3	6 612.7	11 178.3
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე			
სპეციალური ტრანსფერი	8 750.3	6 612.7	10 940.3
გრანტები			238,0



მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 807.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	1 067,7	1 031.5	807.0
შემოსავლები საკუთრებიდან	527,0	516.5	440.0
პროცენტები	354,2	361.2	330.0
რენტა	172,8	155.3	110.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	132,9	89.6	102.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	121,9	77.6	94.0
სანებართვო მოსაკრებელი	81,8	32.9	50.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	39.9	44.6	44.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	11,1	12.0	8,0
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	270,2	249.8	200.0
ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	137,6	175.6	65.0

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 24 552.2 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი			2024 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
ხარჯები	14 081,3	16 973.9	16 397.8	576.1	24 552.2	20 003.2	4 549.0
შრომის ანაზღაურება	2 460,2	2 867.4	2 867.4		3 350.0	3 350.0	
საქონელი და მომსახურება	2 064,3	2 263.6	2 162.6	101.0	2 904.0	2 797.7	106.3
პროცენტები	37,8	27.9	27.9		62.5	62.5	



სუბსიდიები	7 775.7	9 852.4	9 852.4		11 895.0	11 895.0	
გრანტები	76,2	76.0	76.0		80.0	80.0	
სოციალური უზრუნველყოფა	837,7	1 081.4	1 081.4		1 129.4	1 129.4	
სხვა ხარჯები	829,4	805.2	330.1	475.1	5 131.3	688.6	4 442.7

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 11 548.7 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა 12 048.7 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება 500.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	35.0	66.3	35.0
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	42,0	66.3	35.0
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები			
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	6 006.3	9 968.6	11 846.0
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	1 896.8	3 271.6	6 205.4
02 02	წყლის სისტემების განვითარება	371.7	482.0	306.1
02 03	გარე განათება	27.0		
02 04	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	535.3	579.6	1 161.4
02 05	ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია	144.8	282.1	905.3
02 06	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება			
02 07	კეთილმოწყობა	2 426.8	4 454.7	1 367.4
02 08	სარიტუალო ღონისძიებები			
02 09	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	372.8	552.6	1 363.2
02 10	საპროექტო (ხარჯთაღრიცხვების) და აზომვითი სამუშაოების შედგენა	120.1	145.2	265.0
02 11	საპროექტო (ხარჯთაღრიცხვების) და აზომვითი სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა	110.8	200.8	272.2
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	51.3	125.4	80.0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	9.7	125.4	



03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა , განვითარება	2.8		
03 03	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში	38.8		80.0
04 00	განათლება	366.1	1 006.7	
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	57.3	28.8	
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	100.0	900.4	
04 03	საჯარო სკოლების რეაბილიტაცია, მშენებლობა	208.8	77.5	
04 04	წმ.ილია მართლის სახელობის გიმნაზია			
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	89.2	131.4	84.5
05 01	სპორტის სფეროს განვითარება		11.6	3.5
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	58.5	36.8	10.0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	30.7	83.0	
05 04	კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა			71.0
05 05	საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა			
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა		3.3	3.2
06 01	ჯანმრთელობის დაცვა			
06 02	სოციალური დაცვა		3.3	3.2
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	6 554.9	11 301.7	12 048.7

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	490.8	929.3	500.0
ძირითადი აქტივები	70.0	929.3	
არაწარმოებული აქტივები	420.8		500.0
მიწა	100.0		500.0

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია



განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ კრილში შემდეგი რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
	7 მთლიანი ხარჯები	20712.5	28351.9	36680.9
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	3375.2	3889.5	4937.7
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	3205.6	3682.5	4735.2
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	3205.6	3682.5	4625.2
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0		110.0
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	114.1	104.1	142.5
7.1.8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	55.5	102.9	60.0
	7.2 თავდაცვა	133.2	153.3	0.0
7.2.1	შეიარაღებული ძალები	133.2	153.3	0.0
	7.4 ეკონომიკური საქმიანობა	2579.6	4972.7	8455.3
7.4.5	ტრანსპორტი	2510.2	4071.7	7591.2
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	2510.2	4071.7	7591.2
7.4.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	69.4	901.0	864.1
	7.5 გარემოს დაცვა	2024.4	2059.2	2933.1
7.5.1	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	587.8	660.3	885.0
7.5.2	ჩამდინარე წყლების მართვა	249.1	195.2	271.1
7.5.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	1187.5	1203.7	1777.0
	7.6 საბინაო-კომუნალური მეურნეობა	4240.2	6757.9	10122.2



7.6.1	ბინათმშენებლობა	680.0	763.4	5368.0
7.6.3	წყალმომარაგება	812.6	1512.7	1508.0
7.6.4	გარე განათება	747.2	778.0	849.0
7.6.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	2000.4	3703.8	2397.2
	7.7 ჯანმრთელობის დაცვა	79.7	96.4	269.9
7.7.4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	79.7	96.4	269.9
7.7.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	0.0		0.0
	7.8 დასვენება, კულტურა და რელიგია	3761.6	4405.1	4422.3
7.8.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1922.2	2092.2	1533.7
7.8.2	მომსახურება კულტურის სფეროში	1725.0	2091.0	2640.6
7.8.3	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	55.5	64.5	71.0
7.8.4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	27.0	27.0	27.0
7.8.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	31.9	130.4	150.0
	7.9 განათლება	3380.3	4546.5	4066.3
7.9.1	სკოლამდელი აღზრდა	3045.2	4309.3	3900.0
7.9.2	ზოგადი განათლება	335.1	237.2	166.3
7.9.2.3	საშუალო ზოგადი განათლება	335.1	237.2	166.3
	7.10 სოციალური დაცვა	1138.3	1471.3	1474.1
7.10.4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	78.8	142.1	235.0
7.10.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	1059.5	1329.2	1239.1

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს -5 171.0 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 6 377.7



დასახელება	2021 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	9 999.6	8 062.1	6 377.7
მთლიანი სალდო	-4 176.8	-2 310.3	-5 171.0

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს -5 251.0 ათასი ლარით:

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	4 100.5	-2 386.6	-5 251.0
ზრდა	4 100.5		
ვალუტა და დეპოზიტი	4 100.5	2 386.6	0.0
კლება		2 386.6	5 251.0
ვალუტა და დეპოზიტი		2 386.6	5 251.0

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 80,0 ათასი ლარი ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2019 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას და 2023 წლის ბოლოსთვის დასაფარი თანხის მოცულობა შეადგენს 171.5 ათას ლარს.

თავი II. ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 19 481.8 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი		2024 წლის გეგმა
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	19 481.8



02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	6 205.4
02 01 01	გზების მიმდინარე შეკეთება	6 150.4
02 01 03	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	55.0
02 02	წყლის სისტემების განვითარება	2 109.1
02 02 01	სასმელი წყლით უზრუნველყოფა	1 508.0
02 02 01 01	ა(ა)იპ „ყვარელწყალმომსახურება“	
02 02 01 02	წყლის სისტემების სამშენებლო სარეაბილიტაციო სამუშაოები	
02 02 01 03	წყალმომსახურება	
02 02 01 04	ა(ა)იპ „ყვარელწყალმომსახურება“	1 508.4
02 02 03	სარწყავ -სანიაღვრე არხების მოწყობა რეაბილიტაცია	271.1
02 02 04	ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია და მოვლა	330.0
02 03	გარე განათება	849.0
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	849.0
02 03 01 01	გარე განათების ქსელის მოვლა	
02 03 01 02	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	750.0
02 03 01 03	გარე განათების ქსელის მოვლა	
02 03 01 04	გარე განათების ქსელის მოვლა	99.0
02 03 02	გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა	
02 04	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	1 385.7
02 05	სტიქიით დაზიანებული შენობების, სახლების და სხვა ნაგებობების რეაბილიტაცია	5 368.0
02 07	კეთილმოწყობა	1 367.4
02 07 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია	1 167.4
02 07 01 01	სკვერებისა და პარკების მოწყობა-რეაბილიტაცია	864.2
02 07 01 02	სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია	303.2
02 07 04	დაზიანებული მუნიციპალური ქონების რეაბილიტაცია	200.0
02 08	სარიტუალო ღონისძიებები	289.0
02 08 01	სასაფლაოების მოვლა, შემოღობვა	289.0
02 08 01 01	სასაფლაოების მოვლა პატრონობა	
02 08 01 03	სასაფლაოების მოვლა	
02 08 01 04	სასაფლაოების მოვლა	289.0



02 09	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	1 363.2
02 10	საპროექტო (ხარჯთაღრიცხვების) და აზომვითი სამუშაოების შედგენა	265.0
02 11	საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა	280.0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების მიმდინარე შეკეთება	დაფინანსება ათას ლარში
	02 01 01		6 150.4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოფელ ბალოჯიანში მეორე უბნის და ორი გადამკვეთი გზის მოასფალტება, სოფელ შილდაში „დინგანთ უბნის მოასფალტება“, სოფ. კუჭატანში სასაფლაოს გზის მოასფალტება, სოფ. სანავარდოში შიდა საუბნო გზის მოასფალტება, სოფელ ჩანტლისყურესთან მისასვლელი გზის მოასფალტება, სოფ. თივთან მისასვლელი გზის II მონაკვეთის მოასფალტება, ქალაქ ყვარელში ქუჩის რეაბილიტაცია.		
მოსალოდნელი შედეგი	მოქალაქეების გადაადგილება მოხდება ნაკლებ დროში, შეუფერხებლად და კომფორტულად, სამაშველო სამსახურებს მიეცემათ საშუალება უფრო ოპერატიულად განახორციელონ დახმარება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	დაფინანსება ათას ლარში
	02 01 03		55.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ვიდეო თვალეზის შექმნა, მუნიციპალიტეტში გზების დახაზვა.		
მოსალოდნელი შედეგი	საგზაო მოძრაობის მოწესრიგება		

პროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ „ყვარელწყალმომსახურება“	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 01 04		1 508,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ყვარელწყალმომსახურება“		
	პროგრამა ითვალისწინებს ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების სრულ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. მათ შორის, პრიორიტეტულია მოსახლეობის 24 საათიანი სასმელი წყლის უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში. რიგ შემთხვევებში პროგრამა ასევე მოიცავს, სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაციას.		



პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, როგორც ქალაქ ყვარელში, ასევე მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში.</p> <p>პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> - მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობდეს სასმელი წყლის 24 საათიანი მიწოდება; - მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებელი წვდომა და იღებდეს სასმელ წყალს; - წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად. <p>წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია: სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაციის ქვეპროგრამა და წყლის სისტემის რეაბილიტაციის ქვეპროგრამა. ექსპლოატაციის ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები, ხოლო რეაბილიტაციის ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი თანხებით. მიმდინარე ეტაპზე პროგრამა შედგება 1 ქვეპროგრამისაგან - სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაციის ქვეპროგრამა.</p> <p>წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც ინფრასტრუქტურული (წყლის სისტემის რეაბილიტაცია), ასევე, მომსახურების (წყლის სისტემის ექსპლოატაცია). რაც შეეხება მის ხანგრძლივობას, იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> - მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობს სასმელი წყლის 24 საათიანი გრაფიკი; - მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს სასმელ წყალზე აქვს შეუფერხებელი წვდომა; - აღდგენილი და შეკეთებული წყლის სისტემები ფუნქციონირებს გამართულად; - წყლის სისტემაში პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი		დაფინანსება ათას ლარში
	02 02 03	სარწყავ-სანიაღვრე არხების მოწყობა რეაბილიტაცია	271,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქ ყვარელში არსებული არხის რეაბილიტაცია, ქალაქ ყვარელში რუსთაველის ქუჩის პირველ შესახვევში სანიაღვრე არხის მოწყობა და გზის მოხრეშვა.		
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესებული სანიტარული პირობები, მოსახლეობისათვის კომფორტული გარემოს შექმნა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია და მოვლა	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 04		330,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	უამინდობის ან სხვადასხვა სტიქიური მოვლენის დროს მოსახლეობის უსაფრთხოებისათვის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მდინარეების დამცავი ჯებირები, სარწყავი და სანიაღვრე არხები საჭიროებენ მუდმივ მოვლა-მოწესრიგებას, მუნიციპალიტეტში არსებული ტრაქტორები „jxb“, გრეიდერი და სატვირთო ავტომანქანა „მერსედესი“ მუდმივ მზადყოფნაში არიან პრობლემების მოსაგვარებლად, თავად ტექნიკაც საჭიროებს მოვლას, რემონტს. აღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფს ტექნიკის მუშა მდგომარეობაში შენარჩუნებას და შესაბამისად ნაპირსამაგრი ნაგებობების და სანიაღვრე არხების გამართულ მდგომარეობაში ყოფნას და მოსახლეობის უსაფრთხოებას
მოსალოდნელი შედეგი	მოვლილი ნაპირსამაგრი ნაგებობები, გასუფთავებული სანიაღვრე არხები, უსაფრთხოდ მყოფი მოსახლეობა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 03 01 02		750.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას. გარე განათების ქსელის მოწყობილობების შეძენას და გარე განათების ამწე კალათის ექსპლუატაციისათვის საჭირო ხარჯებს		
მოსალოდნელი შედეგი	გარე განათების ქსელის სრულყოფილად ფუნქციონირება და განათებული მუნიციპალიტეტი		

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის მოვლა	დაფინანსება ათას ლარში
	02 03 01 04		99,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „ყვარლის კეთილმოწყობის სამსახური“		
პროგრამის აღწერა	ა(ა)იპ „ყვარლის კეთილმოწყობის სამსახური“ ახორციელებს ქ. ყვარელში და ყვარლის მუნიციპალიტეტში შემავალ სოფლებში გარე განათების ქსელების მოვლა-პატრონობას. კერძოდ, დამწვარი ნათურების, ელექტრო ავტომატების, დროის რელეების და ჩამრთველების შეცვლა და აღდგენას. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტს ემსახურება ერთი „ივეკო“ ტიპის სპეციალური დანიშნულების ამწე კალათა და სხვა.		
პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების შეუფერხებელი ფუნქციონირება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის სუბსიდირება	დაფინანსება ათას ლარში
	03 04 01		120.0



ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „ყვარლის კეთილმოწყობის სამსახური“
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის ფუნქციონირებისათვის მომსახურების დაფინანსება
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის შეუფერხებელი ფუნქციონირება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალური ტრანსპორტის განახლება	დაფინანსება ათას ლარში
	02 04 02		1 265,7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ახალი მუნიციპალური ტრანსპორტის შეძენა და ავტოპარკის განახლება, ნაგავმზიდების შეძენა, გრეიდერის შეძენა, არსებული ტრანსპორტის ტექნიკური ზედამხედველობა, შეკეთება და მომსახურება.		
მოსალოდნელი შედეგი	გამართული ტექნიკა და დაკისრებული მოვალეობების დროულად და სრულყოფილად შესრულება, განახლებული ავტოპარკი.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სტიქიით დაზიანებული სახლების და სხვა ნაგებობების რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 05 01		5 368,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სტიქიისაგან დაზიანებული ინფრასტრუქტურის პირველადი რეაბილიტაცია, ყვარლის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული 30 ერთეული საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები.		
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესებული საცხოვრებელი პირობები		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სკვერებისა და პარკების მოწყობა-რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 07 01 01		864,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია		
	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქ ყვარელში „ბოგირის“ სკვერის რეაბილიტაცია, ქალაქ		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ყვარელში 9 აპრილის სკვერში გამწვანებისა და სარწყავი სისტემების მოწყობა, ქალაქ ყვარელში ბესიკის ქუჩაზე სკვერის მოწყობა, რეაბილიტაცია,
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისა და სტუმრებისათვის შექმნილი კომფორტული- სასიამოვნო გარემო.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 07 01 02		303,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოფელ მთისძირში მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, სოფ. ჭიკაანში სპორტდარბაზის რეაბილიტაცია.		
მოსალოდნელი შედეგი	ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების გაუმჯობესება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	დაზიანებული მუნიციპალური ქონების რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 07 04		200.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაცია		
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სასაფლაოების მოვლა	დაფინანსება ათას ლარში
	02 08 01 04		289.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „ყვარლის კეთილმოწყობის სამსახური“		
ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 19			



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სასაფლაოს მოვლა-პატრონობა. კერძოდ: ქ. ყვარლის, სოფ. მთისძირის, ბაღლოჯიანის, ახალსოფლის, თივის, ზინობიანის, ჭიკანის, გავაზის, კუჭატანის, სანავარდოს, წიწკანაანთსერის, შილდის, ენისელის, გრემის, ალმატის, საბუის და შაქრიანის სასაფლაოები. ამ სასაფლაოების მთლიანი ფართობია 78 ჰა. ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ -ის შესაბამისი სერვისი უზრუნველყოფს: - სასაფლაოების ღობის დაზიანებული მონაკვეთების შეკეთებას და შეღობვას; - სასაფლაოების დაცვას მოთარეშე პირუტყვისაგან; - სასაფლაოების გასუფთავება მექანიკური და ქიმიური საშუალებებით
მოსალოდნელი შედეგი	შეკეთდება და შეიღობება სასაფლაოების ღობის დაზიანებული მონაკვეთები, შეკეთდება შესასვლელი ჭიშკრები; რამდენიმე ეტაპად შეიწამლება და გაითიბება სასაფლაოების ტერიტორიები.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	02 09		1 363,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები სოფლების მოთხოვნების შესაბამისად.		
მოსალოდნელი შედეგი	ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება, მოსახლეობის ჩართულობა სოფლის ცხოვრებაში.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო (ხარჯთაღრიცხვების) და აზომვითი სამუშაოების შედეგა	დაფინანსება ათას ლარში
	02 10		265,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. პროგრამის თანხების განკარგვა ხორციელდება რეგიონალურ დონეზე ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით.		
მოსალოდნელი შედეგი	ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დროულად და კვალიფიციურად მომზადება		

	კოდი		დაფინანსება
--	------	--	-------------



ქვეპროგრამის დასახელება		საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა	ათას ლარში
	02 11		280,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და მიმდინარე სამუშაოების ტექნიკურ ზედამხედველობა იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება აღემატება 50.0 ათას ლარს,		
მოსალოდნელი შედეგი	შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდარტებს)		

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2 332,0 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის გეგმა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2 332,0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1 735,0
03 01 01	ნარჩენების გატანა და დასუფთავება	
03 01 02	მუნიციპალიტეტის დასუფთავების ღონისძიებები	105,0
03 01 03	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	
03 01 04	ა(ა)იპ „ყვარელსერვისი“	
03 01 05	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	780,0
03 01 06	ა(ა)იპ „ყვარლის კეთილმოწყობის სამსახური“	850,0
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	457,0
03 02 01	სკვერებისა და პარკების მოვლა პატრონობა, გამწვანება	
03 02 02	სკვერებისა და პარკების მოვლა-გამწვანება	
03 02 03	სკვერებისა და პარკების მოვლა-გამწვანება	457,0
03 03	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში	140,0



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის დასუფთავების ღონისძიებები	ათას ლარში
	03 01 02		105.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქუჩის ძაღლების პატრონაჟი, მწერებისა და ქვეწარმავლების შემოსევის შემთხვევაში შესაბამისი ღონისძიებების გატარება მუნიციპალიტეტის მასშტაბით.		
მოსალოდნელი შედეგი	შემცირებული ქუჩის ძაღლების რაოდენობა, შეწამლულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადების გადამტანი მწერების საეჭვო კერები		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	დაფინანსება ათას ლარში
	03 01 05		780.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „ყვარლის კეთილმოწყობის სამსახური“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ყვარლის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ა(ა)იპ „ყვარლის კეთილმოწყობის სამსახური“ ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 4 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში: ქ. ყვარელი, მთისძირი, ბაღლოჯიანი, შოროხი, თხილისწყარო, ახალსოფელი, ჭიკვანი, ჩანტლისყურე, წიწკანანათსერი, სანავარდო, თივი, კუჭატანი, ზინობიანი, გავაზი, შილდა, საბუე, ენისელი, ალმატი, გრემი, შაქრიანი, სოფლებში შეგროვებული ნარჩენები გადის ყვარლის ნაგავშემკრებ გადამზიდ სადგურზე (ნაგავსაყრელებზე). ასევე 2 მანქანა დამატებით ემსახურება ყვარელი-თელავი, ყვარელი - თბილისის გზის მონაკვეთების დასუფთავებას პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 40 მ ³ ნარჩენი, მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება ქალაქის და მუნიციპალიტეტის სოფლების ტერიტორიის დასუფთავება		
მოსალოდნელი შედეგი	გამართული ინფრასტრუქტურა, დასუფთავებული მუნიციპალიტეტი		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ „ყვარლის კეთილმოწყობის სამსახური“	დაფინანსება ათას ლარში
	03 01 06		850.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „ყვარლის კეთილმოწყობის სამსახური“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ა(ა)იპ „ყვარლის კეთილმოწყობის სამსახურის“ ადმინისტრაციული ხარჯები, აქედანვე ხდება ა(ა)იპთან დაკავშირებული ყველა ქვეპროგრამის საერთო ხარჯების ანაზღაურება.		
მოსალოდნელი შედეგი	გამართული ინფრასტრუქტურა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სკვერებისა და პარკების მოვლა- გამწვანება	დაფინანსება ათას ლარში
	03 02 03		457.0



ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „ყვარლის კეთილმოწყობის სამსახური“
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა. კერძოდ, სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ტარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები, ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამ-ქიმიკატების შეტანა.
მოსალოდნელი შედეგი	მოვლილი და კეთილმოწყობილი პარკები და სკვერები, მოსახლეობის დასვენებისა და ბავშვების გაართობისათვის მოწყობილი ტერიტორიები.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში	დაფინანსება ათას ლარში
	03 03		140.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ნაგვის ურნების შექმნა		
მოსალოდნელი შედეგი	მოწესრიგებული და სუფთა ქალაქი, მოსახლეობის შეგნების ამაღლება		

მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 4 066.3 ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის პროექტი
04 00	განათლება	4 066.3
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	3 900.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	
04 03	საჯარო სკოლების რეაბილიტაცია, მშენებლობა	106.3
04 04	ა(ა)იპ „წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია“	60.0



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულების ფუნქციონირება	დაფინანსება ათას ლარში
	04 01		3 900.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება.</p> <p>შესაბამისად, მუნიციპალიტეტი მთლიანად უზრუნველყოფს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო დაფინანსების გამოყოფას და ყველა სხვა ღონისძიების გატარებას. ყვარლის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 22 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 1352-ზე მეტი ბავშვი. არაეთნიკური მოსახლეობისთვის გვაქვს 3 საბავშვო ბაღი, რომელშიც დარეგისტრირებულია 30 აღსაზრდელი. ბაგა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 279 აღმზრდელი და ადმინისტრაციული პერსონალი.</p> <p>„სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია:</p> <p>ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები;</p> <p>ბაგა-ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის N485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;</p> <p>ბაგა-ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;</p> <p>ბაგა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;</p> <p>ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა;</p> <p>ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება;</p> <p>ა(ა)იპ „ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ თანამშრომელთათვის შესაბამისი სამუშაო პირობების შექმნა.</p> <p>თანამშრომელთა გადამზადება სტანდარტების შესაბამისად</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>ყვარლის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობები, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ „ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში“ დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით.</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საჯარო სკოლების რეაბილიტაცია, მშენებლობა	დაფინანსება ათას ლარში
	04 03		106,3



ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტირება,
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლეთა ხელმისაწვდომობა სასკოლო პროცესში მონაწილეობაზე

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ „წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია“	დაფინანსება ათას ლარში
	04 04		60.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	გიმნაზიაში ფუნქციონირებს სრული საშუალო სკოლა, სადაც 259 ბავშვი სწავლობს, გიმნაზიასთან ფუნქციონირებს სასადილო, როლმელიც ყოველდღიურად სადილით აკმაყოფილებს გიმნაზიის ყველა ასაკის აღსაზრდელს და პედაგოგს, ჰყავს 2 საკუთარი ავტობუსი, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვების ტრანსპორტირებას დილით და სკოლის შემდეგ, მთელს რაიონში.		
მოსალოდნელი შედეგი	წარმატებული ახალგაზრდების აღმოჩენა და აღზრდა.		

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 4 119,1 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის გეგმა
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	4119.1
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1 230.5
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1 080.5
05 01 01 01	ა(ა)იპ „ყვარლის კომპლექსური სასპორტო სკოლა“	720.0
05 01 01 02	ა(ა)იპ „ყვარლის სპეციალიზირებული საფეხბურთო სკოლა“	281.5
05 01 01 03	შპს „ათლეტი“	8.0
05 01 01 04	ა(ა)იპ ფრენბურთის კლუბი „ყვარელი“	45.0
05 01 01 05	რაგბის კლუბი	26.0
05 01 02	სპორტული ღონისძიებები	150.0



05 01 03	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	2 187.6
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	2 010.6
05 02 01 01	ა(ა)იპ „ყვარლის სამუსიკო სკოლების გაერთიანება“	355.6
05 02 01 02	ა(ა)იპ „ყვარლის კულტურული მემკვიდრეობის, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებელი ობიექტების დაცვისა და განვითარების ცენტრი“	383.0
05 02 01 03	ა(ა)იპ „ყვარლის კულტურის განვითარების ცენტრი“	1 272.0
05 02 02	კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	150.0
05 02 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	27.0
05 02 03 01	ნევრესის ეპარქიის დაფინანსება	27.0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	150.0
05 04	კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	480.0
05 05	საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა	71.0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული დაწესებულების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 01		720.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „ყვარლის კომპლექსური სასპორტო სკოლა“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სასპორტო სკოლა აერთიანებს სპორტის 9 მიმართულებას, ესენია: თავისუფალი ჭიდაობა (160 ბავშვი), ძიუდო (310 ბავშვი), ქართული ჭიდაობა (510 ბავშვი), ფრენბურთი (36 ბავშვი), ხელბურთი (60 ბავშვი), კალათბურთი (18 ბავშვი). კრივი (54 ბავშვი), კარატე (32 ბავშვი) და ჭადრაკი (30 ბავშვი). სასპორტო სკოლაში სპორტის 9 სახეობაში ჩაბმულია 750 ბავშვი. სულ სკოლაში დასაქმებულია 63 ადამიანი, მათ შორის 22 ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი და 41 მწვრთნელი, სასპორტო სკოლის აღმზრდელები მონაწილეობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში, როგორც საქართველოს მასშტაბით, ასევე საზღვარგარეთ. ქვეპროგრამის მიზანია: ხელი შეუწყოს მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. მეტი მოზარდის ჩაბმას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისთვის. მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.		
მოსალოდნელი შედეგი	სპორტული სკოლა მთელი წლის განმავლობაში ფუნქციონირებს შეუფერხებლად, ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია სკოლის მომსახურებით. მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხელმისაწვდომია სპორტული წრეებით სარგებლობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული დაწესებულების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 02		281.5
ქვეპროგრამის	ა(ა)იპ „ყვარლის სპეციალიზირებული საფეხბურთო სკოლა“		



განმახორციელებელი	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ბავშვთა მაქსიმალური ჩაბმა სისტემატიურად სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, სკოლის პროფილის შესაბამისად მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება.
მოსალოდნელი შედეგი	სკოლა მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; ყველა მსურველს შეუძლია ისარგებლოს სკოლის მომსახურებით; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხელმისაწვდომია სკოლის პროფილის შესაბამისი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული დაწესებულების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 03		8.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	შპს „ათლეტი“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	კლუბის მიზანია მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაში ხელშეწყობა, ახალგაზრდობის მოზიდვა, ვარჯიშისთვის საუკეთესო პირობების შექმნა.		
მოსალოდნელი შედეგი	ახალგაზრდობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, წარმატებული სპორტსმენების აღმოჩენა და აღზრდა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული დაწესებულების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 04		45.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ფრენბურთის კლუბი „ყვარელი“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	კლუბის ვაჟ-ფრენბურთელთა გუნდი დაფუძნების დღიდან მონაწილეობს საქ. ეროვნულ ჩემპიონატში უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის და ერთერთ ლიდერს წარმოადგენს ქვეყანაში. გუნდი დაკომპლექტებულია კახეთის 30 საუკეთესო სპორტსმენით, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-ჯერ. კლუბში დასაქმებულია 4 ადამიანი, მათ შორის 3 მწვრთნელი და ადმინისტრატორი. პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ლეგულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში საქართველოს მასშტაბით. ქვეპროგრამის მიზანია: - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.		
მოსალოდნელი შედეგი	ფრენბურთის კლუბი ფუნქციონირებს შეუფერხებლად და ხელმისაწვდომია ნებისმიერი ფრენბურთის მოყვარულისთვის და ვარჯიშის მსურველისთვის.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული დაწესებულების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 05		26.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	შპს სარაგბო კლუბი „ბულები“		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	რაგბის ტურნირებში მონაწილეობას იღებს 4 ასაკობრივი ჯგუფი. ორი ასაკობრივი ჯგუფი გამოდის 4 გუნდით 8-10 წლის ასაკის ბავშვებში. სარაგბო კლუბში გაერთიანებულია 125 ბავშვი, ქალაქ ყვარლიდან, შილდიდან, ენისლიდან, გავაზიდან და ახალსოფლიდან.
მოსალოდნელი შედეგი	ახალგაზრდებში რაგბის მიმართ ინტერესის გაზრდა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02		150.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების, პარასპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისება, მუნიციპალიტეტში სპორტული ტურნირების დაფინანსება.		
მოსალოდნელი შედეგი	ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, წარმატებული სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისება უკეთესი შედეგების მისაღწევად.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს განვითარება	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 01		355.6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „ყვარლის სამუსიკო სკოლების გაერთიანება“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი დაწყებითი სამუსიკო განათლების 5 სკოლა. ყვარლის, ახალსოფლის, გავაზის, ჭიკანისა და შილდის სამუსიკო სკოლები.</p> <p>სამუსიკო სკოლებში 6 წლიან სამუსიკო განათლებას იღებს 250 ბავშვი. სოციალურად დაუცველი მოსწავლეები გათავისუფლებული არიან სწავლის გადასახადიდან, რაც წლის განმავლობაში შეადგენს 100 ლარს. გაერთიანებაში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები) 61 თანამშრომელს. სამუსიკო სკოლაში ბავშვები 6 წლიან კლასიკურ მუსიკალურ განათლებას იღებენ ფორტეპიანოს მიმართულებით, ყვარლის სამუსიკო სკოლაში ფორტეპიანოს მიმართულებასთან ერთად ფუნქციონირებს ვიოლინოს კლასი.</p> <p>მუსიკალური განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: ბავშვებისათვის 6 წლიანი კლასიკური მუსიკალური განათლების მისაღებად შესაბამისი პირობების შექმნა; სამუსიკო განათლების პროგრამით დადგენილ შედეგებზე ორიენტაცია, სწავლების პროცესში განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; მათი მომზადება შიდა სასკოლო თუ ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე ფესტივალებსა და კონკურსებში მონაწილეობის მისაღებად. მოსწავლეების კლასიკური მუსიკის კარგ მსმენელად ჩამოყალიბება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლები წლის განმავლობაში ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. სრულად არის დაკმაყოფილებული სამუსიკო დაწყებით განათლებაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. სკოლების აღსაზრდელები მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებში, ასევე ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ კონკურსებსა და ფესტივალებში.		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს განვითარება	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 02		383.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „ყვარლის კულტურული მემკვიდრეობის, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებელი ობიექტების დაცვისა და განვითარების ცენტრი“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 2 დასასვენებელი და გასართობი პარკის ინფრასტრუქტურის გამართულად მუშაობა, დასასვენებელ პარკებში განთავსებულია სპორტული მოედნები ღონისძიებებისთვის, ამფითეატრი კულტურული ღონისძიებისათვის, პარკში ხელოვნურ წყალსაცავზე ფუნქციონირებს წყლის ველოსიპედების სერვისი, პარკის გარშემო შესაძლებელია ველოსიპედებით სეირნობა. დასასვენებელ და გასართობ პარკებში ადგილობრივი ვიზიტორების გარდა ისვენებენ ვიზიტორები საქართველოს ყველა რეგიონიდან.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი დასასვენებელი პარკები ფუნქციონირებენ შეუფერხებლად და ერთერთ ძირითად ლოკაციებს წარმოადგენენ მოსახლეობის და ვიზიტორების დასვენება-გართობისათვის.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს განვითარება	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 03		1 272.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „ყვარლის კულტურის განვითარების ცენტრი“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 3 კულტურის სახლი, 5 ბიბლიოთეკა.</p> <p>კულტურის სახლებში გაერთიანებულია სხვადასხვა მიმართულებები, ქორეოგრაფიული წრეები, ფოლკლორული ანსამბლები, ბავშვთა საესტრადო წრეები. ამ წრეების სწავლების პროგრამებში მონაწილეობს 200 აღსაზრდელი, ფოლკლორული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებში ჩართულია 150-მდე მოსწავლე.</p> <p>მუნიციპალიტეტის 5 ბიბლიოთეკაში წიგნადი ფონდი შეადგენს 114460 ერთეულს. ბიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის დაახლოებით 2000 მოსახლე.</p> <p>მუნიციპალიტეტის კულტურის სახლთან ფუნქციონირებს კ. მარჯანიშვილის სახელობის სახალხო თეატრი და მასთან არსებული თოჯინების თეატრი. რომელიც განახორციელებს გასვლით წარმოდგენებს.</p> <p>მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების ცენტრის ქვეპროგრამის მიზანია: მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, საბიბლიოთეკო ცხოვრებისადმი მოსახლეობის ინტერესის და ჩართულობის გაზრდა.</p> <p>ყვარლის მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო ღონისძიებების, ფესტივალების, ფორუმების საქველმოქმედო აქციების, ლიტერატურული-შემოქმედებითი საღამოების ორგანიზება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის დაწესებულებები ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. კულტურის სახლების მიერ სრულად არის დაკმაყოფილებული ქორეოგრაფიული, ფოლკლორული და საესტრადო წრეებზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. თეატრებში იდგმება სპექტაკლები. ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა. კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პატივისცემა და განვითარება.		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია , მშენებლობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		150,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია კოტე მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმის ადმინისტრაციული შენობის აშენება.		
მოსალოდნელი შედეგი	მოწესრიგებული უსაფრთხო და კომფორტული ინფრასტრუქტურა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 03		27,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ნეკრესის ეპარქია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ნეკრესის ეპარქიასთან არსებული სასულიერო სემინარიის, გრემისა და ნეკრესის სამონასტრო კომპლექსების ფუნქციონირების ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში ხდება კომუნალური გადასახადების გადახდა, საწვავის შექმნა ტრანსპორტისათვის და მიმდებარე ტერიტორიების მოვლა-დასუფთავებისათვის.		
მოსალოდნელი შედეგი	მოვლილი სამონასტრო კომპლექსი, კმაყოფილი ტურისტი და მოსახლეობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდობის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 03		150,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ახალგაზრდობის ინფორმირება პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობების, სასწავლებლების, კურსებისა და სხვადასხვა პროგრამების შესახებ, პროფესიული საგანმანათლებლო გადამზადების კურსების ორგანიზება ახალგაზრდობისათვის, პროფესიული გამოცდილების მიღებისა და პროფესიული პრაქტიკის გავლის შესაძლებლობების შექმნა ახალგაზრდობისთვის მუნიციპალიტეტის ორგანოებში და კერძო სექტორში. ახალგაზრდობი ხელშეწყობა ბიზნესის განვითარებისათვის.		
მოსალოდნელი შედეგი	ღონისძიებებში ჩართული მეტი ახალგაზრდა და მხარდაჭერილი ინიციატივები		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 04		480,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	კულტურის გაერთიანებასთან ერთად, პროგრამის ფარგლებში ხორციელდება რაიონში უკვე ტრადიციად ქცეული სხვადასხვა ღონისძიებების ხელშეწყობა და მათ ცივილურ, ორგანიზებულ ჩარჩოებში ჩასმა, ხორციელდება რაიონისათვის უმნიშვნელოვანესი დღესასწაული „ილიაობის“ და საახალწლო ღონისძიებების ორგანიზება.		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობაში ამაღლებული კულტურულ - შემეცნებითი დონე.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 05		71.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	შპს „მედიაცენტრი“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ადგილობრივი გაზეთის შინაარსობრივი და მხატვრული დონის გაუმჯობესება. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს გაზეთში გამოსაქვეყნებელ მასალებს, რომლებშიც აისახება: 1. ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობა, მათი ურთიერთობა საზოგადოებასთან, ასევე რეგიონალურ მმართველობასთან. 2. ეკონომიკური საკითხები, მასთან დაკავშირებული სიახლეები და პრობლემები. 3. აგრარული მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებული სიახლეები. 4. სოციალური საკითხები და მის გადასაჭრელად არსებული პოლიტიკა. 5. განათლების სისტემაში მიმდინარე მოვლენები, სიახლეები, პრობლემები. 6. მუნიციპალიტეტში მიმდინარე კულტურული და სპორტული ცხოვრება. 7. ტურიზმის სფეროს განვითარება. 8. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმოს ახალგაზრდობის ინტერესებს, მიღწევებს, პრობლემატურ თემებს.		
მოსალოდნელი შედეგი	გაზეთის შინაარსობრივი და მხატვრული დონის გაუმჯობესების გზით გაზეთის გავრცელების რაოდენობის გაზრდა და მოსახლეობის უკეთ ინფორმირება რაიონში მიმდინარე მოვლენების შესახებ.		

მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

